



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება № 1001/ი

24 10 2019 წ.

ქ. თბილისი

„სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული მომზადების პროგრამების დადასტურების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 23 ოქტომბრის № 993/ი ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული მომზადების პროგრამების დადასტურების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 23 ოქტომბრის № 993/ი ბრძანებაში და ბრძანების:
  - ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფესიული მომზადების პროგრამების დადასტურების შესახებ“;
  - ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„1. დადასტურდეს სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფესიული მომზადების პროგრამები:
    - ა) თმის შეჭრა და ვარცხნილობის გაკეთება (მესამე დონე);
    - ბ) კედლებისა და იატაკის ფილებით მოპირკეთება (მესამე დონე);
    - გ) კედლებისა და ტიხრების აშენება (მესამე დონე).“.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე ბალიშვილი